



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

**ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო
სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების
კლასტერის გამოცდილებები, მიღწევები
და გამოწვევები**

თემატური ანალიზი

თბილისი, 2026 წელი

მკვლევართა ჯგუფი

დავით კუხალაშვილი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ქეთევან ინანაშვილი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

სამუშაო ჯგუფის წევრები: ლალი ოდიშვილი, ნინო შიოშვილი, ანი ბილანიშვილი, ქრისტინე აბულაძე, გვანცა ძიძიგური, ანა ჯავახიშვილი, სოფიკო ქურასბედიანი, თამთა მოხევიშვილი, ანა ჯუღელი, ნინო სარჯველაძე, ნანა კავლელაშვილი, გიორგი ირემაშვილი, თათია მამრიკიშვილი, ქეთევან პავლიაშვილი, ანა ქერაშვილი, ლიკა ქუთელია.

სარჩევი

I. შესავალი.....	3
II. კვლევის მიზანი, ამოცანები, აქტუალობა, მეთოდოლოგია და შედეგები.....	4
III. თვისებრივი კვლევის შედეგები	6
დასკვნების ანალიზი.....	6
დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ანალიზი	10
1. კლასტერული აკრედიტაციის მიზნების მიღწევა და საერთო ეფექტიანობა	10
2. გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის განვითარებაზე.....	11
3. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტთა ჩართულობა და მათი საქმიანობის შეფასება	12
4. კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის შედარებითი ანალიზი.....	12
5. გამოწვევები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები	13
კლასტერული აკრედიტაციის გამოწვევები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები.....	15
IV. დასკვნა.....	16
V. რეკომენდაციები	17

I. შესავალი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს საქართველოში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ინსტიტუციურ ერთეულს, რომელიც ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას. გარე ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუცია, თავდაპირველად 2006 წელს შეიქმნა, როგორც განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ხოლო 2010 წელს კი ჩამოყალიბდა, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი საქართველოში 2011 წლიდან ფუნქციონირებს. 2011-2022 წლებში აკრედიტაცია სავალდებულო იყო მხოლოდ რეგულირებადი პროფესიული სფეროებისთვის, აგრეთვე მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისა და სადოქტორო პროგრამებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პროგრამების შემთხვევაში აკრედიტაცია სამართლებრივად სავალდებულო არ ყოფილა, იგი საჭირო პირობა იყო სტუდენტის სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად, რა მიზეზითაც, დაწესებულებები უპირატესობას ანიჭებდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელებას.

2022 წელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები, რომელიც უკავშირდება კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დანერგვას და განხორციელებას. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ასევე კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

კლასტერი განისაზღვრება, როგორც შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, რომელთა შეფასება ერთი სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში იგეგმება. მიუხედავად კლასტერული შეფასების განხორციელებისა, აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს თითოეული პროგრამის შესახებ ინდივიდუალურად.

კლასტერული აკრედიტაციის სისტემის მოდელი გულისხმობს სფეროების მიხედვით დაჯგუფებული პროგრამების კომპლექსურ შეფასებას და განახლებულ კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

კლასტერული აკრედიტაციის მოდელზე გადასვლისათვის განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აკრედიტაცია გახდა სავალდებულო ქართულ ენაში მომზადებისა და ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის (გარდა მართლმადიდებლური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა). გარდამავალ ეტაპზე, დაწესებულებები მიღევად რეჟიმში ახორციელებენ არაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა განხორციელება ამ რეჟიმში

შესაძლებელია შესაბამისი კლასტერის ხელახალი აკრედიტაციის ვადით. იმისათვის, რომ სტუდენტმა ისარგებლოს სახელმწიფო დაფინანსებით, იგი უნდა სწავლობდეს აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

კლასტერული აკრედიტაციის პირველი ტალღა შეეხო ჰუმანიტარულ მეცნიერებებისა და პერსონალური მომსახურების სფეროებს, ხოლო შემდგომ ეტაპებზე, შეფასდა – ხელოვნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სპორტის, ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერები.

არსებული რეფორმებისა და სისტემური ცვლილებების მასშტაბიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლასტერული აკრედიტაციის მოდელის ეფექტიანობის კვლევასა და ანალიტიკურ შეფასებას. აუცილებელია დადგინდეს, თუ როგორ ახერხებს აღნიშნული მოდელი მიზანთან შესაბამისობას, არსებული გამოწვევების დამლევას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ოპტიმიზაციას შედეგების ეფექტურობის გაზრდის მიზნისთვის და სისტემის განვითარების წახალისებას. მსგავსი კვლევები ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მტკიცე, სტაბილური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული სისტემის განვითარებას.

II. კვლევის მიზანი, ამოცანები, აქტუალობა, მეთოდოლოგია და შედეგები

მოცემული თემატური ანალიზის მთავარი მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის სფეროებში კლასტერული აკრედიტაციის შედეგების ეფექტურობის შეფასება, პროცესში გამოვლენილი სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია კვლევის შემდეგი ამოცანები:

- შეფასდეს, რამდენად შეესაბამება კლასტერული აკრედიტაციის მექანიზმი მისი განხორციელების პროცესში განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს;
- მოხდეს ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათ საფუძველზე შემუშავდეს პროცესის შემდგომი დახვეწისთვის საჭირო რეკომენდაციები.

აღნიშნული ამოცანების რეალიზაციისთვის ჩამოყალიბდა შემდეგი კვლევის კითხვები:

1. კლასტერული აკრედიტაციის მიზნების მიღწევა და საერთო ეფექტიანობა;
2. კლასტერული აკრედიტაციის გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის განვითარებაზე;
3. საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა ჩართულობა და მათი საქმიანობის შეფასება;
4. კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის შედარებითი ანალიზი;
5. კლასტერული აკრედიტაციის გამოწვევები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

კვლევა ეფუძნება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning პროექტის ფარგლებში

შემუშავებულ „თემატური ანალიზის პროცესისა და მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო დებულებას“ (Twinning 2020). თემატური ანალიზის დაგეგმვის დროს ასევე გამოყენებული იყო „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თემატური ანალიზის განხორციელების წესი“.

დოკუმენტური კვლევის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG - 2015) მოთხოვნები. კვლევის ეტაპზე გამოყენებული იყო თვისებრივი ანალიზის მეთოდი.

ანალიზის ობიექტს წარმოადგენდა ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში მომზადებული აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შინაარსობრივ ანალიზს.

მიზნობრივად შერჩეული იყო 16 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების ფარგლებში შემუშავებული დასკვნები. უმეტესად შეირჩა ისეთი კლასტერები, რომლებიც მოიცავდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო). დაწესებულებების შერჩევა განხორციელდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით.

კვლევის თვისებრივი ნაწილისთვის განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ჩართულ ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. სულ ჩატარდა:

- **2 ინტერვიუ** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან (ფოკუს ჯგუფები, 16 დაწესებულება);
- **2 ინდივიდუალური ინტერვიუ** ცენტრის თანამშრომლებთან;
- **1 ინტერვიუ** აკრედიტაციის საბჭოს მოქმედ წევრებთან (ფოკუს ჯგუფი, 6 წევრი).

ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ-პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით და შეხვედრის მონაწილეების წინასწარი თანხმობით მოხდა შეხვედრების აუდიოჩანაწერების ჩაწერა და სისტემატიზაცია. აღნიშნული ჩანაწერები განადგურდა აღნიშნული კვლევის დასრულებისთანავე.

ასევე კითხვარები გაეგზავნა საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, სტუდენტ ექსპერტებს და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს:

- 16 საერთაშორისო ექსპერტი;
- 58 ადგილობრივი ექსპერტი (დარგი, დამსაქმებელი, სტუდენტი);
- 90 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

თვისებრივი მონაცემების ორგანიზებისთვის შეიქმნა Excel-ის ბაზა, რომელშიც მოხდა რეკომენდაციების კოდირება. ანალიზი დაეფუძნა **ანალიტიკურ კოდირებას** (Merriam & Tisdell, 2015), რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ მონაცემთა აღწერით კლასიფიკაციას, არამედ მათ ინტერპრეტაციასაც.

ანალიტიკური კოდირებისას გამოყენებული იყო კოგნიტური ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ინტერპრეტაციის სტრუქტურულ სისტემას – კერძოდ:

- ძირითადი თემატური მიმართულებების დადგენა;
- კლასტერისა და ინდივიდუალური პროგრამების დონეზე რეკომენდაციებს შორის განსხვავებების გამოვლენა;
- პირველადი კოდების თემატურ კატეგორიებად დაჯგუფება;

III. თვისებრივი კვლევის შედეგები

დასკვნების ანალიზი

აკრედიტაციის რეკომენდაციების ანალიზი: კვლევის შედეგები

რეკომენდაციების რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტი რეკომენდაცია კონცენტრირებულია *I სტანდარტის* ფარგლებში, რაც მიუთითებს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის დიზაინის ზოგიერთი მიმართულებით არსებულ განსავითარებელ მხარეებზე. რეკომენდაციები უმეტესად ეხება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების კავშირის საჭიროებას, მათ შესაბამისობას საგანმანათლებლო საფეხურის დონესთან და დარგობრივ მახასიათებლებსა და ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს განზოგადებულ აღმწერებთან. ასევე თვალშისაცემია კურიკულუმის შიდა ლოგიკის გაუმჯობესების, სავალდებულო დარგობრივი კურსების ინტეგრაციის, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწისა და სწავლის შედეგების გაზომვადობის გაძლიერების საჭიროება. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ პროგრამების დაგეგმვის პროცესში კვლავ გასაუმჯობესებელია მიზანი-შედეგები-კურიკულუმი-შეფასების ლოგიკური თანხვედრა, რაც წარმოადგენს პროგრამების ხარისხის განვითარებისთვის ერთ-ერთ კრიტიკულ საფუძველს.

II სტანდარტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდება სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებასა და შეფასების სისტემის ეფექტიანობას. ანალიზმა აჩვენა, რომ პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების კომპონენტი ხშირ შემთხვევაში საჭიროებს გაძლიერებას, მათ შორის პრაქტიკული აქტივობების, სტაჟირებისა და დამოუკიდებელი პრაქტიკის უფრო სისტემურ ინტეგრაციას. ასევე, სტუდენტთა შეფასების ნაწილში პრობლემურ საკითხად იკვეთება შეფასების კრიტერიუმების დიფერენცირება, მინიმალური ზღვრების განსაზღვრა, შეფასების რუბრიკების სიზუსტე და უკუკავშირის მექანიზმების ხარისხი. აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს სწავლა-სწავლების პროცესის უფრო შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვისა და შეფასების კულტურის გაძლიერების აუცილებლობაზე.

III სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები რაოდენობრივად ნაკლებია ან ცალკეულ შემთხვევებში საერთოდ არ ფიქსირდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს გამოწვევების არსებობას. ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური მხარდაჭერის, უკუკავშირის რეგულარული შეგროვებისა და გამოყენების პრაქტიკა საჭიროებს შემდგომ განვითარებას. ამასთანავე, გამოიკვეთა საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის შეზღუდული შესაძლებლობები, რაც

ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს პროგრამებისთვის მნიშვნელოვანი განვითარების პოტენციალს წარმოადგენს.

IV სტანდარტის ფარგლებში რეკომენდაციები ფოკუსირებულია რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებზე, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვის დაბალანსებაზე, აფილირებული პერსონალის გამრავალფეროვნებაზე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე ინფრასტრუქტურული, საბიბლიოთეკო და კვლევითი რესურსების განვითარებაზე.

მიუხედავად რეკომენდაციების შედარებით მცირე რაოდენობისა, მათი შინაარსი მიუთითებს რესურსების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის მნიშვნელობაზე პროგრამების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

V სტანდარტის ანალიზი აჩვენებს, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემები ხშირ შემთხვევაში ატარებს უფრო ფორმალურ ხასიათს და საჭიროებს მონაცემებზე დაფუძნებული მართვის გაძლიერებას. რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდება მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების დახვეწას, სტუდენტებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის უფრო სისტემურ შეგროვებასა და მიღებული შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას პროგრამების განვითარებაში. ეს მიუთითებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება - სრულფასოვანი ფუნქციონირების საჭიროებაზე.

კლასტერული და ინდივიდუალური რეკომენდაციების თანაფარდობის ანალიზი აჩვენებს, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა ინდივიდუალურ დონეზეა გაცემული, რაც შეიძლება მიუთითებდეს, როგორც ექსპერტთა ფოკუსირებას კონკრეტული პროგრამების სიღრმისეულ შეფასებაზე, ისე კლასტერული შეფასების სპეციფიკის სრულად ათვისების პროცესში არსებულ გამოწვევებზე. ამასთანავე, მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ კლასტერულმა შეფასებამ არ შეამცირა თითოეული პროგრამის დეტალური ანალიზის ხარისხი და შესაძლებელი გახდა როგორც ინდივიდუალური, ისე სისტემური საკითხების იდენტიფიცირება.

საერთო ჯამში, ექსპერტთა დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ძირითადი გამოწვევები უკავშირდება პროგრამების დიზაინის ლოგიკას, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გაძლიერებას, შეფასების სისტემების დახვეწასა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას. რეკომენდაციები უმეტესწილად მიმართულია არა ერთჯერადი ხარვეზების აღმოფხვრისკენ, არამედ გრძელვადიანი, სტრუქტურული და სისტემური ცვლილებების მხარდაჭერისკენ, რაც ქმნის მყარ საფუძველს როგორც პროგრამების, ისე დარგის განვითარებისათვის.

ცხრილი 1. რეკომენდაციების რაოდენობრივი განაწილება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით

აკრედიტაციის სტანდარტი	რეკომენდაციების ჯამური რაოდენობა	კლასტერული	ინდივიდუალური
I სტანდარტი – პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და შესაბამისობა	128	34	94
II სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და შეფასება	30	8	22
III სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები და მხარდაჭერა	10	7	3
IV სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	24	20	4
V სტანდარტი – ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	25	17	8
სულ	217	86	131

(ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს პროგრამების კლასტერი)

ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია I და II სტანდარტებზე, ხოლო კლასტერული რეკომენდაციების წილი საერთო მოცულობაში შედარებით მცირეა.

ცხრილი 2. რეკომენდაციების ფოკუსი - კლასტერული და ინდივიდუალური დონეების შედარება

შეფასების დონე	რეკომენდაციების რაოდენობა	წილი (%)
კლასტერული	86	139%
ინდივიდუალური პროგრამული	131	61%
სულ	217	100%

მონაცემები მიუთითებს, რომ შეფასების პროცესში ექსპერტების ფოკუსი ძირითადად ინდივიდუალური პროგრამების დონეზე იყო მიმართული, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც შეფასების ტრადიციულ პრაქტიკას, ისე კლასტერული შეფასების მეთოდოლოგიის სიახლეს.

ცხრილი 3. სტანდარტების მიხედვით გამოკვეთილი ძირითადი თემატური გამოწვევები (სინთეზური ხედვა)

სტანდარტი	ძირითადი თემატური გამოწვევები
I	პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირება; NQF-თან შესაბამისობა; კურიკულუმის ლოგიკა; შეფასების გაზომვადობა;
II	პრაქტიკული კომპონენტი; შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; დაშვების წინაპირობები;
III	სტუდენტთა ინდივიდუალური მხარდაჭერა; უკუკავშირის რეგულარული შეგროვება და გამოყენების პრაქტიკა საჭიროებს შემდგომ განვითარებას;
IV	ფინანსური რესურსების სტრუქტურირება; აკადემიური პერსონალის დატვირთვის დაბალანსება;
V	QA ციკლის ეფექტიანობა; მონიტორინგი და უკუკავშირის გამოყენება;

საუკეთესო პრაქტიკების ანალიზი განხილული დასკვნების 50%-ში მოცემული იყო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები:

I სტანდარტის ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკები უკავშირდება პროგრამების მკაფიო მიზნებს, ბაზარზე პოზიციონირებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საერთაშორისო და დარგობრივ სტანდარტებთან, რაც დამატებით ზრდის მათი კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების მიერ პროგრამების ან მათი კომპონენტების აღიარება, რაც მიუთითებს სწავლის შედეგების გარე ვალიდაციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაზე.

II სტანდარტის ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საუკეთესო პრაქტიკები უკავშირდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებასა და სწავლება-სწავლის პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიებით ორგანიზებას. გამოიკვეთა სტრუქტურირებული სტაჟირების სქემები, შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობა და სტუდენტებისთვის რეალურ სამუშაო გარემოში ჩართულობის შესაძლებლობები.

სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით აღინიშნა შეფასების მექანიზმების დეტალურად გაწერილი მეთოდოლოგიური მითითებები. აღნიშნული პრაქტიკები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ეფექტიან ინტეგრაციას.

III სტანდარტის ანალიზი აჩვენებს, რომ საუკეთესო პრაქტიკები უკავშირდება სტუდენტზე ორიენტირებულ მხარდამჭერ გარემოსა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიკვეთა სტუდენტთა მაღალი კმაყოფილება

სასწავლო გარემოთი, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები (მათ შორის სტიპენდიები), ასევე სტუდენტთა უკუკავშირის სისტემური შეგროვება და მასზე რეაგირების პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პრაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის რეგიონებში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციას უმაღლეს განათლებაში.

IV სტანდარტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკები უკავშირდება ადამიანური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების მდგრად განვითარებას. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიკვეთა მუდმივად განახლებადი სასწავლო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ძლიერი მენეჯერული გუნდი. ასევე, ზოგიერთი ჩანაწერი ასახავს პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტურ მხარდაჭერას, მათ შორის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას.

V სტანდარტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკების მაგალითები ასახავს ხარისხის კულტურის მაღალ დონესა და ინსტიტუციურად გამართულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიკვეთა ინოვაციებზე, ტექნოლოგიებსა და კვლევაზე ორიენტირებული მიდგომები (მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, სტარტაპ სივრცეები და საერთაშორისო მობილობის კურიკულუმში ჩაშენება), რომელიც ქმნის მდგრად საფუძველს პროგრამების უწყვეტი განვითარებისათვის.

წარმოდგენილი საუკეთესო პრაქტიკები ცხადყოფს, რომ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში წარმატებული მაგალითები ეფუძნება შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროგრამულ დიზაინს, პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ მხარდაჭერას, რესურსების მდგრად მართვასა და ხარისხის კულტურის ინსტიტუციურ გაძლიერებას.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ანალიზი

მოცემული ნაწილი წარმოადგენს კლასტერული აკრედიტაციის პროცესის თვისებრივ ანალიზს, რომელიც ეფუძნება პროგრამის ხელმძღვანელების გამოკითხვას, საერთაშორისო და ადგილობრივი აკრედიტაციის ექსპერტების შეფასებებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფოკუს ჯგუფებსა და აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დისკუსიებს. კვლევის მიზანია შეფასდეს კლასტერული აკრედიტაციის ეფექტიანობა, მისი გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებსა და დარგის განვითარებაზე, ექსპერტთა ჩართულობის ხარისხი და სისტემის სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

1. კლასტერული აკრედიტაციის მიზნების მიღწევა და საერთო ეფექტიანობა

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თანხმდება, რომ კლასტერული აკრედიტაცია სტრატეგიულ დონეზე მეტწილად აღწევს დასახულ მიზნებს, განსაკუთრებით რესურსების ოპტიმიზაციისა და დარგის ჰოლისტური ხედვის ჩამოყალიბების კუთხით.

პროგრამის ხელმძღვანელების აზრით, პროგრამების კლასტერებად შეფასება ზრდის პროცესის მართვადაც და უზრუნველყოფს დარგობრივი კონცენტრაციის სიღრმისეულ ანალიზს:

„კლასტერული აკრედიტაციის მიზანი მთლიანობაში მიღწეულია, განსაკუთრებით დარგობრივი ხედვის ჩამოყალიბების კუთხით.“

ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით, კლასტერული აკრედიტაცია უზრუნველყოფს პროგრამებს შორის ურთიერთკავშირების გამოვლენას და საერთო გამოწვევების იდენტიფიცირებას. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით:

„კლასტერული აკრედიტაციის ძირითადი მიზანი – პროგრამების ხარისხის სისტემური შეფასება და გაუმჯობესება – მნიშვნელოვანწილად მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.“

საერთაშორისო ექსპერტები პროცესს აფასებენ როგორც „ჰოლისტურს“ და „კომპლექსურს“, რაც, მათი აზრით, ზრდის შეფასების სიზუსტეს და შედეგიანობას:

“The holistic approach and the comparability make the cluster accreditation very meaningful.”

აკრედიტაციის საბჭოს წევრები მიუთითებენ, რომ ოპერაციულ დონეზე პროცესის ეფექტიანობა ხშირად მცირდება ექსპერტთა მაღალი დატვირთვის გამო. კერძოდ, რეკომენდაციების ფორმულირება, საჭიროებს განვითარებას.

„სტრატეგიულად მიზნები მიღწეულია, მაგრამ ოპერაციულ დონეზე რეკომენდაციების ჩამოყალიბების ხარისხი სერიოზულ პრობლემად რჩება.“

2. გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის განვითარებაზე

კლასტერული აკრედიტაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხობრივ განვითარებაზე და ხარისხის კულტურის გაძლიერებაზე, თუმცა ამ გავლენის ინტენსივობა განსხვავებულია.

პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ პროცესში ისინი ვალდებულნი არიან პროგრამები ურთიერთკავშირში გააანალიზონ:

„კლასტერულმა აკრედიტაციამ გვაიძულა პროგრამები აღარ განგვეხილა იზოლირებულად, არამედ განგვეხილა სისტემურად.“

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების შეფასებით, გაძლიერდა თვითშეფასების კულტურა და შიდა ხარისხის მექანიზმები:

„პროცესმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ხარისხის კულტურა და თვითშეფასების როლი უნივერსიტეტებში.“

ადგილობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კლასტერული აკრედიტაცია მხარს უჭერს უნივერსიტეტების პროგრამების შინაარსობრივი ბმის გადახედვას და რეკომენდაციების უფრო გააზრებულ განხორციელებას:

„კლასტერული აკრედიტაცია ხელს უწყობს არა მხოლოდ პროგრამების შიდა განვითარებას, არამედ მთლიანად სფეროს ხარისხის გაუმჯობესებას.“

საერთაშორისო ექსპერტები კლასტერულ აკრედიტაციას ხედავენ, როგორც დარგის განვითარების ინსტრუმენტს:

“Cluster accreditation supports sector-level reflection and long-term development.”

ამავე დროს, აკრედიტაციის საბჭოს წევრები ყურადღებას ამახვილებენ რისკებზე, განსაკუთრებით დიდი კლასტერების შემთხვევაში:

„დიდ კლასტერებში ინდივიდუალური პროგრამების სპეციფიკა ხშირად იკარგება, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე.“

3. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტთა ჩართულობა და მათი საქმიანობის შეფასება

ექსპერტთა ჩართულობა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ და ამავდროულად კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხად იკვეთება.

პროგრამის ხელმძღვანელები საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობას დადებითად აფასებენ, თუმცა ხაზს უსვამენ ეროვნული კონტექსტის ნაკლებად ცოდნის პრობლემას:

„საერთაშორისო ექსპერტებს ხშირად არ აქვთ სათანადო ცოდნა ქართული კანონმდებლობისა და დარგობრივი სპეციფიკის შესახებ.“

ხარისხის სამსახურები ადგილობრივ ექსპერტებს უფრო კონტექსტუალურად კომპეტენტურად მიიჩნევენ:

„ადგილობრივი ექსპერტები უკეთ ერკვევიან სისტემურ თავისებურებებში და პრაქტიკულ რეალობაში.“

ადგილობრივი ექსპერტების მოსაზრებით მათი პროცესში ჩართულობის შეფასება არაერთგვაროვანია, თუმცა საერთო ტენდენცია დადებითია. მათ მიერ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა განიხილება, როგორც პროცესის სანდოობისა და გამჭვირვალობის გაზრდის ფაქტორი.

ერთ-ერთი ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნავს:

„საერთაშორისო ექსპერტთა ჩართულობა ამაღლებს, როგორც ადგილობრივი ექსპერტების კვალიფიკაციას, ისე აკრედიტაციის პროცესის პასუხისმგებლობას.“

კვლევამ გამოავლინა გარკვეული განსავითარებელი მხარეებიც, რომლებიც უკავშირდება უცხოელი ექსპერტების მიერ ადგილობრივი კონტექსტის არასაკმარის ცოდნას:

„სამწუხაროდ, ზოგიერთ საერთაშორისო ექსპერტს არ აქვს სათანადო ცოდნა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომის ბაზრის შესახებ.“

ამ კონტექსტში გამოიკვეთა რეკომენდაცია ჯგუფის თანახელმძღვანელის (co-chair) საჭიროების შესახებ.

საერთაშორისო ექსპერტები თავად აღნიშნავენ გუნდური მუშაობის გამოწვევებს:

“Sometimes the teamwork within expert groups is inconsistent.”

აკრედიტაციის საბჭოს წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ რეკომენდაციების დასაბუთებაზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან:

„რეკომენდაციების ნაწილი საჭიროებს საბჭოს მხრიდან კორექტირებას.“

4. კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის შედარებითი ანალიზი

ყველა რესპონდენტთა ჯგუფი თანხმდება, რომ კლასტერული აკრედიტაცია რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით უფრო ეფექტიანია.

პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავენ:

„ერთ ვიზიტში რამდენიმე პროგრამის შეფასება ნაკლებ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.“

ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით, კლასტერული აკრედიტაცია უფრო ეფექტიანია დროისა და რესურსების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტებზე მუშაობის ეტაპი უფრო შრომატევადია:

„კლასტერული აკრედიტაციისას შესაძლებელია პროგრამების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი, რაც ინდივიდუალური აკრედიტაციისას ნაკლებად ხორციელდება.“

საერთაშორისო ექსპერტები ამავდროულად მიუთითებენ დატვირთულობის ზრდაზე:

“Cluster accreditation saves time overall, but increases workload intensity.”

ხარისხის სამსახურები ხაზს უსვამენ შეფასების პროცესში თითოეული პროგრამის სრულფასოვანი შესწავლის რისკს:

„კლასტერულ მოდელში რთულია თითოეული პროგრამის სიღრმისეული განხილვა.“

საბჭოს წევრები კი აღნიშნავენ სისტემურ უპირატესობას:

„კლასტერული აკრედიტაცია ქმნის საერთო სურათს, რაც ინდივიდუალური აკრედიტაციისას ნაკლებად ჩანს.“

5. გამოწვევები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები

კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე სისტემური გამოწვევა, რომლებიც ყველა ჯგუფის მიერ არის აღიარებული.

პროგრამის ხელმძღვანელების აზრით, დოკუმენტაციის მოცულობა აფერხებს რეალურ ანალიზს:

„დოკუმენტების რაოდენობა ექსპერტებს რეალურ ანალიზს ურთულებს.“

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურები მიუთითებენ ექსპერტთა მომზადების არათანაბარ დონეზე:

„ექსპერტთა პროფესიული დონე ყოველთვის თანაბარი არ არის.“

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ დროის დეფიციტზე:

“Experts often do not have enough time for thorough analysis.”

აკრედიტაციის საბჭოს წევრები კლასტერის შეფასებების განვითარების ცენტრის როლს ხედავენ შემდეგნაირად:

„ცენტრმა უნდა გააძლიეროს ექსპერტების, დაწესებულებების მეთოდოლოგიური და მხარდაჭერა, ტრენინგების ჩატარების, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნის მიმართულებით.“

საკვლევი თემატიკის მიხედვით ასევე ინტერვიუ ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2 თანამშრომელთან. ინტერვიუს შედეგები დამუშავდა საკვლევი თემატიკის მიხედვით.

კლასტერული აკრედიტაციის მიზნების მიღწევა და საერთო ეფექტიანობა

კლასტერული აკრედიტაციის მოდელის დანერგვამ პოზიტიური ხარისხობრივი ცვლილებები მოიტანა როგორც შეფასების პროცესში, ისე ცენტრის შიგნით მიმდინარე პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ პროცესმა გაზარდა თანამშრომელთა სამუშაოს სირთულე, მიზნები – კერძოდ, დარგობრივი ნიშნით პროგრამების ერთიანად შეფასება, ჰოლისტურობის ზრდა და საერთაშორისო სტანდარტებთან უკეთესი თანხვედრა – არსებითად მიღწეულად შეიძლება შეფასდეს.

ცენტრში განსაკუთრებით აღინიშნება, რომ **დასახული მიზნის შესაბამისად, შეფასების სისტემურობა და მეთოდოლოგიური ერთიანობა რეალურად გაძლიერდა**, თუმცა ჰოლისტური ხედვა ბოლომდე ვერ რეალიზდა, ნაწილობრივ, ექსპერტთა გამოცდილებისა და მომზადების განსხვავებული დონიდან გამომდინარე.

პროცესი ეფექტიანად მიიჩნევა იმ კუთხითაც, რომ ხელს უწყობს ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვას.

კლასტერული აკრედიტაციის გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის განვითარებაზე

კლასტერული შეფასების მიდგომამ, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ერთი სფეროს ქვეშ არსებული პროგრამები უფრო მეტად არის ურთიერთდაკავშირებული და საფეხურებს შორის ბმა მეტად თვალსაჩინოა.

დარგობრივ ჭრილში ერთდროულად რამდენიმე პროგრამის შეფასებამ:

- ხელი შეუწყო სექტორული გამოწვევების უკეთ გამოვლენას;
- გააძლიერა მოთხოვნა სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდებისა და შიდა ხარისხის სისტემების გაძლიერებაზე;
- ხელი შეუწყო კონკრეტულ სფეროებში დარგობრივი მახასიათებლების შექმნას.

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტთა ჩართულობა და მათი საქმიანობის შეფასება ექსპერტთა ჩართულობა იყო ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული და კომპლექსური კომპონენტი.

ცენტრის პერსპექტივით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

- საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა 2023 წლიდან სავალდებულო გახდა, რამაც გააძლიერა პროცესის ობიექტურობა და სანდოობა და შეამცირა ინტერესთა კონფლიქტები.
- წლის განმავლობაში, ექსპერტებთან კომუნიკაციის ფარგლებში, თანამშრომლის დატვირთვა შემცირდა, თუმცა გაიზარდა საქმიანობის სირთულე. საჭირო გახდა ცენტრის თანამშრომლის აღჭურვა მრავალფეროვანი კომპეტენციებით, მათ შორის, შესაბამისიკომუნიკაციის შესაძლებლობებით.
- ექსპერტებს შორის ხშირად შეინიშნებოდა ენობრივი და კონტექსტუალური

ბარიერები, რამაც ზოგჯერ ექსპერტთა ჯგუფში სინერჯის ნაკლებობა გამოიწვია.

- დარგობრივად მცირე ადგილობრივი ადამიანური რესურსი – ექსპერტები ხშირ შემთხვევაში რამდენიმე შეფასების პროცესებში ერთდროულად მონაწილეობდნენ, რაც მათი გადაღლისა და ინტერესთა კონფლიქტების რისკებს ზრდიდა.

კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის შედარებითი ანალიზი
ცენტრის თანამშრომლები რამდენიმე მნიშვნელოვან სხვაობას ასახელებენ:

კლასტერული აკრედიტაციის უპირატესობები:

- დარგობრივი ხედვა და სისტემურობა;
- პროგრამებს შორის საერთო განსავითარებელი არეების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;
- შეფასების პროცესის შინაარსობრივი გაღრმავება;
- საერთაშორისო გამოცდილების ჩვენს სივრცეში შემოტანა.

განსავითარებელი მხარეები და სირთულეები:

კლასტერული აკრედიტაცია

- მომატებული ორგანიზაციული და მენეჯერული საქმიანობის სირთულე;
- დიდი რაოდენობის დოკუმენტაციის მცირე დროში დამუშავება;
- დასკვნის ფორმების კომპლექსურობა;
- კოორდინაციის მიღწევის სირთულე ექსპერტთა დიდ ჯგუფებში.

ინდივიდუალური აკრედიტაცია

ინდივიდუალური მოდელი იყო უფრო მარტივი, ნაკლებად სირთულის მატარებელი და წინასწარ გარკვეული, თუმცა არ იძლეოდა სისტემურ სურათს პროგრამების/სფეროების კოორდინირებული განვითარებისთვის.

კლასტერული აკრედიტაციის გამოწვევები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები

ცენტრის თანამშრომელთა ხედვით, მთავარი გამოწვევები მოიცავს:

- ადამიანური რესურსების და დროის შესაძლო დეფიციტს, რომელიც განსაკუთრებით დიდ კლასტერებთან მიმართებით ვლინდება;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება მათი დაინტერესებისა და მოზიდვის კუთხით.

პერსპექტივები

- დაგროვილი გამოცდილება უზრუნველყოფს, რომ დანერგვის მომდევნო ეტაპები იქნება მეტად ეფექტიანი და მეთოდოლოგიურად გამართული;
- საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის როლი დარჩება, როგორც სისტემისთვის სარგებელი, უცხოური გამოცდილების შემოტანის ნაწილში, თუმცა საჭირო იქნება მათი ჩართულობის ეფექტურობის გასაზრდელად, მეთოდოლოგიური დოკუმენტების განვითარება და ტრენინგ მოდულების დახვეწა;
- საჭირო გახდება ექსპერტთა ჯგუფში საერთაშორისო ექსპერტების რაოდენობრივი ზრდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იშვიათი სპეციალობების

- პროგრამები ფასდება და მწირია ადგილობრივ ექსპერტთა რესურსი;
- ცენტრს დაგეგმილი აქვს ექსპერტთა პროფესიული განვითარების მექანიზმების გამრავალფეროვნება.

IV. დასკვნა

ჩატარებული ინტერვიუების, კითხვარების და დასკვნების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

1. კლასტერული აკრედიტაციის დაგეგმვა, განხორციელება და შედეგები სტრატეგიულად სწორად არის მიმართული და მიზნების უმეტეს ნაწილს აღწევს.

კვლევამ აჩვენა, რომ კლასტერულმა მიდგომამ გააძლიერა დარგობრივი ანალიზი, გაზარდა პროცესის ჰოლისტურობა და ხელი შეუწყო პროგრამებს შორის სისტემური კავშირების გამოვლენას. ცხადია, რომ სტრატეგიული მიზნები მეტწილად მიღწეულია, მიუხედავად გამოვლენილი სირთულეებისა;

2. მოდელი აძლიერებს ერთი სფეროს პროგრამების შინაარსობრივ განვითარებას, თუმცა პროგრესი არათანაბარია.

კლასტერულმა შეფასებამ უნივერსიტეტები გახადა ვალდებული, პროგრამები გაანალიზონ კოორდინირებულად, გააძლიერონ შიდა QA მექანიზმები და განავითარონ სწავლების, შეფასებისა და კურიკულუმის დიზაინის ლოგიკური თანხვედრა. ყველაზე მეტი გამოწვევა ფიქსირდება I და II სტანდარტებში - რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კურიკულუმის სტრუქტურის, შრომის ბაზართან პროგრამების თავსებადობას, პრაქტიკული სწავლების შეფასებას.

3. ექსპერტთა ჩართულობა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა არის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო კომპონენტი;

გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა ზრდის ობიექტურობას, სანდოობას და საერთაშორისო გამოცდილების შემოტანას, თუმცა, ასევე გამოიკვეთა გამოწვევა ექსპერტთა ჯგუფებში ენობრივი ბარიერის და ადგილობრივი კონტექსტის არასაკმარისი ცოდნის გამო.

4. კლასტერული მოდელი ეფექტიანია რესურსებისა და დროის დაზოგვის კუთხით, თუმცა რთულია თითოეული პროგრამის სიღრმისეული გააზრება.

კლასტერული და ინდივიდუალური მოდელების შედარებამ აჩვენა: კლასტერული მიდგომა ზრდის სისტემურობას და ეფექტიანობას, მაგრამ ქმნის შეფასების სირთულეს და წლის განმავლობაში ყველა კლასტერის პროცესის სათანადოდ დაგეგმვისთვის ორგანიზაციულ გამოწვევებს.

5. სისტემური გამოწვევები უკავშირდება დასკვნების ხარისხს, ექსპერტთათვის მრავალი დოკუმენტის ერთდროულად შესწავლისთვის დროის დეფიციტს და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ცენტრის თანამშრომლის მხრიდან.

6. პროცესში იკვეთება QA სისტემების უმეტესწილად ფორმალური ხასიათი და ხარისხის

კულტურის განვითარების დონის ნაკლებობა.

V. რეკომენდაციები

- 1) ექსპერტთა მომზადების სისტემური გაძლიერება:
 - 1.1 დაიხვეწოს სტანდარტიზებული ტრენინგ-მოდული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისთვის; ამას გარდა, საერთაშორისო ექსპერტების ტრენინგებში კონცენტრირება მოხდეს ადგილობრივ კონტექსტზე, რასაც წახალისებს ადგილობრივი ექსპერტების და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივი ტრენინგი, სადაც, გამოცდილი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები თავად მოგვევლინებიან “Key Speaker” - ებად და გააზიარებენ ადგილობრივ თავისებურებებს და ექსპერტთა ჯგუფში ეფექტური მუშაობის თავისებურებებს.
 - 1.2 შემოღებულ იქნეს თანახელმძღვანელის (co-chair) ინსტიტუტი საერთაშორისო-ადგილობრივი ექსპერტების თანამშრომლობის გასაძლიერებლად; საჭიროების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ექსპერტთა ჯგუფში ჩართოს ერთზე მეტი საერთაშორისო ექსპერტი.
- 2) კლასტერული შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა:
 - 2.1 დაინტერესებული მხარეებისთვის შემუშავდეს QA გზამკვლევების განახლებული ვერსიები;
 - 2.2 რეკომენდებულია, რომ ექსპერტთა ჯგუფებს მიეცეთ მეტი დრო დასკვნის პროექტისა და დასკვნის წარმოსადგენად.
- 3) დიდ კლასტერებში პროგრამების ინდივიდუალური იდენტობის დაცვის მექანიზმები:
 - 3.1 სადოქტორო პროგრამების კლასტერის გარეთ გამოტანა და სადოქტორო პროგრამების სპეციფიური სტანდარტებით და ინდიკატორებით შეფასების ფოკუსირებისთვის, ინდივიდუალური შეფასების მოდელის გაზიარება.
 - 3.2 კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების რაოდენობა შემცირდეს.



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

www.eqe.ge

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

Higher.ed@eqe.ge
